

ფონდის ფუნქციები და საქმიანობის საგანი

ფონდი:

ა) მოიძიებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო ფინანსურ სახსრებს;

ბ) აფინანსებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებს;

გ) გასცემს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიკაციისათვის საჭირო თანხას;

დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით აქტიურად თანამშრომლობს სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ე) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით შეიმუშავებს და მონაწილეობს ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში;

ვ) უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების სრულ დაცვას;

ზ) უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა პერსონალური მონაცემების სრულ გასაიდუმლოებას;

თ) უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას ან განხორციელების ხელშეწყობას;

ი) უზრუნველყოფს ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნას, დღისა და სადღეღამისო მომსახურების ფარგლებში მოვლა-პატრონობას, კვებას, პირველად სამედიცინო მომსახურებას, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას;

კ) უზრუნველყოფს ფონდის სადღეღამისო მომსახურებით მოსარგებლე გარდაცვლილთა დაკრძალვას;

ლ) ახორციელებს სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციასა და დახმარებას;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების (ფილიალების) საქმიანობის ორგანიზაციას, კოორდინაციას, მართვასა და კონტროლს;

ნ) ფონდის თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შეიმუშავებს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.